

რელიგიური მიმოხილვა

რელიგიური მიმოხილვა

საერთო ურნელი

მოცეკვა



სეზონები.

№ 17 დ 18.

მინარევი:

3. რცხილაძე.....	რესეტის ერობა და მათი მოდერატიზაცია მეურნეობის მიმართ. 3
— 4. გულბათიშვილი.....	სამეურნეო მაშინა-იარაღების საწყისის საჭიროება ჩვენში. 7
პროფ. პეტრიაშვილი.....	დეინის დაუწევება და შენახვა 9
	მართმოქმედების დეპარტამენტის პასუხი უკრაინა „მოსაგალი“-ს რედაქციის მიერ გაგზავნილ თხზვნაზე. 17
— 5. დალაქიშვილი....	მანქანა ქმნის კოსტერაციას 18
ა. კახელაძე.....	სინიმუში წესდება... 20

ფურნალი ჭელიჭადვის ღირს — 3 განეთი. მისამართი: თიფლის, ვარებულის ქ.

სამეურნეო ქურხალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ქურნალში იღებდნენ მთხოვიავებას: — ახოშეილი ვ., ანაზდეული ბ., ახალია ი., გულბათოშეილი ვ., გაღმოხვეწილი ბ., გვარამაძე ილ., გორთმაშეილი ღ., გამხარაშეილი ვ., თაქთაქეშეილი ვ., იოსელიანი ე., კახელიძე ი., მჭედლიშეილი ვ., მელია პ., მდიგანი ღ., შაჩაბელი ა., შაჩაბელი ი., ნახუკრიშეილი ვ., როლოვი ა., რესიშეილი ა., რცხილამე ვ., ქუთათლამე ი., ყავრიშეილი ნ., ჩიგაძე ე., ჩხეიძე ყ., ცხალამე გრ., ღ—ძე ღ., მღ. ჭალიაშეილი, წ—ძე აპ., ხეთაგური ს., უ—ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქტირა მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზორადლებო დ.

შურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენ ი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტირამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორეუბინდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტირა მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამაგლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრძელებული სამეურნეო ნაწარმოების შეძენაზეასაღებაში.

• ანცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკაულ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონ (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თ. რ. შატრი.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტირასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტირა შურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

რუსეთის ეროვნული და მათი მოღვაწეობის მიმართ

კიდევ ერთი 10 — 15 წელიწადი რომ ჰქონდეს რუსეთის ცხოვრებას ესეთი მიმდინარეობა, როგორიც ეხლა აქვს, შიდა რუსეთის მეურნეობა იმდენად უქმნება მერე დაწინაურებული ჩვენს მეურნეობაზე ამიერ კავკასიაში, რომ ამ მოვლენის ახსნაც კი გაგვიძნელდება მაშინ.

ამ განსხვავებას სამეურნეო კულტურაში ჰქმნის ერობა, რომელიც რუსეთს აქვს და ჩვენ კი არა. ეს ერობა არის დღეს იმ გაცხარებულ მუშაობაში, დღეს ხდება იქ ის განსხვავებული მოქმედება, რომელიც შექმნის მომავალში შიდა რუსეთის სამეურნეო კულტურას ჩვენთვის მაშინ გასაკვირველს და მიუწდომელს.

რამდენი დახარჯა საერთოდ მეურნეობის ასალორძინებლად მთელმა ერობამ რუსეთში 1910 წ.

ეს ხარჯი თანახმად დეპარტამენტის ცნობებისა იყო 29 პროცენტით მეტი იმაზე, რაც 1909 წელს დახარჯა, ესე იყი 1910 წელს იმდენად მეტი დახარჯა ერობამ მეურნეობაზე 1909 წელთან შედარებით, რამდენადაც 1909 წელს იყო მეტიდ დახარჯული 1908 წელთან შედარებით.

ეს საერთო ხარჯი ყველა 34 ერობისა უდრიდა 1910 წელს 8,969 ათას მანეთს; 1909 წელს შეადგენდა 6,949 ათას მ., ესე იყი საანგარიშო წელს წამატა 2020 ათასი მანეთი, ხოლო 1908

წელს იყო დახარჯული 5396,1 ათასი მანეთი.

საერთო ხარჯი

რუსეთის ყველა 34 გუბერნიის ერობას დაუხარჯავს მეურნეობაზე:

1910	წელს . . .	8969600	მან.
1909	" . . .	6949400	"
1908	" . . .	5396300	"

მაშასადამე, 1910 წელს დახარჯულია მეტი წინა წელზე 2,020,200 მანეთით ანუ 29 პროცენტზე უკრა მეტი; 1909 წელს დაუხარჯავთ მეტი 1908 წელზე 1552900 მანეთით ანუ 28,8%.

ყველაზე მეტი დაუხარჯავს მეურნეობაზე 1910 წ. ეკატერინოსლავსკის გუბერნიის, რომლის დანახარჯი უდრის 828300 მან. ანუ 9,2% საერთო დანახარჯისას.

მერე პოლტავის გუბერნიის აქვს დახარჯული 779800 მანეთი ანუ 8,7%; შემდეგ მიღის ხელისნის გუბერნია 555100 მან. ანუ 6,2%, ხარკოვისა 545500 მანეთი, პერმისა 497900 მან. და სხვა. ყველაზე ნაკლები ხარჯი გაულია რიაზანის გუბერნიის, სადაც 49700 მან. დახარჯულა ანუ 0,6%.

34 გუბერნიიდან, სადაც ერობა არის დაწესებული, მარტო 14 გუბერნიაში არა ყოფილა ისეთი ცალკე შაზრა, რომ თავის მეურნეობის ასალორძინებლად 20,000 მანეთზე ნაკლები დაეხარჯოს 1910 წლის განმავლობაში, ხოლო

დანარჩენ 20 გუბერნიებში კი ბევრს
მაზრებს ვხედავთ ისეთებს, რომელთაც
20 ათას მანეთზე გაცილებით მეტი და-
უხარჯავთ იგივე 1910 წელს.

მაგალითად:

ოც ათას მანეთზე მეტი აქვთ დახარ-
ჯული, პროცენტებით რო ვიანგარი-
შოთ.

ეკატერინესლავსკის გუბერ-	
ნიაში ყველა მაზრებს, ე. ი.	100%
ხერსონის გუბერნიაში.	83%
სამარის „ „	71%
ბელსარაბიის „ „	71%
უფის „ „	66%
ხარკოვის „ „	63%
პოლტავის „ „	60%
პერმის „ „	50%
ტავრიჩესკის „ „	37%
ვორონეჟის „ „	33%
სარატოვის „ „	30%
ჩერნიგოვის „ „	13%
სიმბირსკის „ „	12%
იარლავსკის „ „	10%
პენზის „ „	10%
ვიატკის „ „	9%
ნიუჟერიოდსკის „ „	9%
ლოვერიოდსკის „ „	9%
კაზანის „ „	8%
კოსტრომის „ „	8%

როგორ იმატა რუსეთის ერობის ყო-
ველ წლიურმა ხარჯმა საერთოდ მე-
ურნეობის ასაღორძინებლად სჩანს, შემ-
დეგი ცნობებიდან.

ეს ხარჯე უდრიდა:

1895 წ.	939 ათას მანეთს
1896 „	1,308 „
1897 „	1,508 „
1898 „	1,769 „
1899 „	2,042 „
1900 „	2,350 „

1901 „	2,330 „
1902 „	2,905 „
1903 „	3,213 „
1904 „	3,737 „
1905 „	4,169 „
1906 „	4,108 „
1907 „	4,546 „
1908 „	5,397 „
1909 „	6,949 „
1910 „	8,969 „

ამგვარად 1910 წელს ერობებს დაუ-
ხარჯავთ მეურნეობაზე ოთქმის 10 ჯერ
მეტი (უფრო მეტი ვით კი 1/2 ჯერ).

არა ნაკლებ საყურადღებოა შემდე-
ბი ცვლილება: რუსეთის ერობათა სა-
ერთო ხარჯი, როგორც მეურნეობაზე
ისე ყველა სხვა საჭიროებაზე დახარ-
ჯული, 1900 წელს უდრიდა 88,3 მი-
ლიონ მანეთს, ხოლო 1910 წელს კი
ხარჯი ავიდა 167,9 მილიონ მანეთამდე,
ესე იგი იმატა 90%, როდესაც რომ
საკუთრევ მეურნეობაზე 1900 წელს
იყო დახარჯული 2,3 მილიონი მანეთი
და 1910 წელს კი იმ ხარჯმა 8,9 მი-
ლიონ მანეთამდე აიწია, მაშასადამე
იმატა იმავე ხანში 207% ანუ გადიდდა
თითქმის 4-ჯერ.

მთელი ის თანხა, რაც რუსეთის ერო-
ბას დაუხარჯავს მეურნეობაზე 1910
წელს, ასე განაწილდება:

1. აგრონომებისა და
სპეციალისტების ჯამაგი-
რებზე დახარჯულა... 1.371,8 ათასი მ.
2. მეურნეობის ბუნე-
ბრივ პირობების გაუმ-
ჯობესობაზე..... 300,1 „ მ.
3. სამეურნეო სწავ-
ლა-განათლებაზე (სკო-
ლებზე და სკოლების
გარეშე) 1.215,4 „ მ.

4. საცდელ სადგურ-
ზე, მინდვრებზე, ფერ-
მებზე, საჩვენებელ მინ-
დვრებზე, სამეურნეო მუ-
ზეუმზე, მეტეორ. სად-
გურებზე, გამოფენებზე
და სხვა სამეურნეო და-
წესებულებებზე დახარ-
ჯულა... 1.216,1 ათასი მ.

5. სამეურნეო ტეხ-
ნიკის გაუმჯობესებაზე
(სამეურნეო საწყუბების
შენახვა, საკვებავ ბალა-
ხების თესვის და მინე-
რალურ სასუქების შე-
მოღება და სხვ.).... 1.258,2 „ მ.

6. მესაქონლეობაზე
და მერძეობაზე.... 637,2 „ მ.

7. სამეურნეო დაწე-
სებულებებისა და სახე-
ლოსნოების დაარსებაზე
და შენახვაზე.... 1.710,4 „ მ.

8. სხვადასხვა ხარჯი
იგივე მეურნეობის წარ-
შატებისოვის გაწეული. 1.260,4 „ მ.
სულ.. 8,969,6 ათასი მ.

ამგვარად, როგორც ამ ცნობები-
დანა სჩანს, სამეურნეო დაწესებულ-
ებების და სახლოსნოების დაარსება
და შენახვა რომ გამოვიდეთ, ყველა-
ზე მეტი დანახარჯი აგრონომების
და სპეციალისტების ჯამაგრებზეა გა-
წეული, ხოლო ამას ისიც უნდა დავუ-
მატოთ, რომ ესეთი გადამეტება ამ
ხარჯისა მარტო 1910 წელს მოხდა,
თორემ, მაგალითად, 1909 წელს ამ
ხარჯს მეოთხე ადგილი ეჭირა რო-
დენობით.

აგრონომიული ორგანიზაცია

რუსეთის ერობას ემსახურებოდა:

აგრონომები(გუბერ- ნიისა და მაზრის)	281—339
მათი თანაშემწენი... .	78—102
რაიონის აგრონომები. 109—284	
მათი თანაშემწენი...	— 11
მებალე.....	64— 94
მევენაზე.....	35— 40
მეფუტკრე.....	26— 45
მერძე-მეყველე.....	9— 16
ენტომოლოგი.....	3— 5
სხვა სპეციალისტები..	28— 20
დაბალი მოსამსახურენი. 42—140.	

გუბერნიის აგრონომების რიცხვია
1910 წ. შედარებით 1909 და 1908
წლებთან იკლო, ხოლო მაზრისა და
რაიონების აგრონომებისამ კი სამაგიე-
როდ შესამჩნევად იმატა 1910 წელს
წინა წლებთან შედარებით.

მაზრის ერობებთა შორის 1910 წ.
მხოლოდ 61 ერობა იყო ისეთი, რო-
მელთაც აგრონომი არ ჰყავდათ მო-
წვეული საკუთრივ. 1909 წ. უაგრო-
ნომოთ ითვლებოდა 97 მაზრის ერო-
ბა, 1908 წელს—123 ერობა.

წლიური ჯამაგირი აგრონომისა მა-
ზრებში განისაზღვრებოდა 900-დან
3000-მდე, ხოლო უფრო მომეტებულ
შემთხვევაში უდრიდა 1500 მან., 1800
მან., 2000 მან.

აგრონომის ჯამაგირის რაოდენობა
არსად არაფრით არ ეტყობა რომ და-
მოკიდებული ყოფილიყოს ამ ამ აგრო-
ნომის სწავლულობის ცენზზე და ან
მის ხანგრძლივ ნამსახურობაზე საღმე
სხვაგან. უფრო ფასდება ერობის მიერ
აგრონომის პირადი უნარი და გამო-

ცლალება საქმეში, ვინემ მისი დიპლომი ან ხანგრძლივი ნამსახურობა.

არა იშვიათ შემთხვევაში აგრონომებს, საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულებს, გაცილებით მეტი ჯამაგირები აქვთ დანიშნული, ვიდრე იქვე მეორე მომიჯნავე მაზრაში უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულები იღებენ. როდესაც ამ უკანასკნელებს ჯამაგირები 1500 მან., 1600 მან., 1800 მან., 2000 მან. აქვთ წელიწადში, პირველნი მათ მეზობლით იგივე თანამდებობის აღსრულებაში იღებენ წელიწადში 2000 გ., 3000 მან. ჯამაგირს.

მაგალითად ვლადიმირის გუბერნიაში: მელენკოვსკის მაზრის აგრონომს უმაღლეს სწავლა მიღებულს ჰერინდა 1910 წელს 1500 მან. ჯამაგირი, შუსკის მაზრის აგრონომი კი იღებდა 1800 მან. და კავკასიის მაზრისა 2000 მანეთს, თუმცა ამ ორივე უკანასკნელთ შეოლოდ საშუალო სასწავლებელი აქვთ გათავებული.

კორონეების გუბერნიაში ოსტროგოვსკის მაზრის ავრონომი უმაღლეს სწავლა მიღებული იღებდა 1800 მანეთს, ნოვოხომიორისა კი, საშუალო სასწავლებლიდან, 2000 მანეთს.

ეკატერინესლავის გუბერნიაში: მაზრები სლავიანოსერბესკ, პავლოგრადსკ, ალექსანდროვსკ, მარიუპოლსკ და ბაზმუტის მაზრა აძლევდნენ უმაღლეს სწავლა გათავებულ აგრონომებს 2000 მანეთს ჯამაგირს და თვით ეკატერინესლავსკის მაზრაში კი აგრონომი იყო საშუალო სასწავლებელში კურს გათავებული და იღებდა 3000 მანეთს ჯამაგირს.

ყაზანის მაზრაში აგრონომი უმაღლეს სწავლა მიღებული იღებდა 1600 მა-

ნეთს ჯამაგირს, სვიაჟსკის მაზრაში კი საშუალო სასწავლებელში კურს შესრულებულ აგრონომს ჯამაგირი ჰქონდა 2500 მანეთი. ბევრგან სხვაგანაცავ იყო.

დიდად საყურადღებოა ამ მხრივ მოსკოვის გუბერნიის ერობის გარდაწყვეტილება, რომელიც დაეთანხმა საეკონომიკ საბჭოს მიერ შემუშავებულ შემდეგ დადგენილებას: „გუბერნიის ერობა მისცემს დახმარებას მაზრის აგრონომის ჯამაგირის გასტუმრებაში, უკეთუ გაზრის ერობა ანსაზლვრის, რაზედ ნაკლები ჯამაგირი არ უნდა ჰქონდეს აგრონომს, რათა მით უზრუნველ გახდეს აგრონომის თანამდებობაზე ისეთი პირების მოწვევა, რომელთაც საკმარისი მომზადება და გამოცდილება აქვთ. ნორმის შემოღება მით უფრო საჭიროა ეხლა, როდესაც გუბერნიიგბი ეცილებიან ერთმანეთს ჯამაგირების გადიდებით, რომ საუკეთესო ძალები მიიზიდონ თავისკენ. ამ მოსაზრებით საგუბერნიო კრება ადგენს, რომ გუბერნიის ერობამ მისცემს ხოლმე მაზრას დახმარება აგრონომის ჯამაგირის გასასტუმრებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაზრის ერობა აგრონომის ჯამაგირად დანიშნავს 1200 მანეთზე არა ნაკლებს და გზის ხარჯად — არა ნაკლებ 300 მანეთზე“.

პერმის გუბერნიის ყველა მაზრებში და აგრევე ზოგიერთ მაზრებში მოსკოვის, პოლტავის, ტევერის და სხვა გუბერნიებში მაზრის აგრონომების მაგივრად იყნენ რაიონის აგრონომები. თუ რამდენად შესაფერი აღმოჩნდა ეს სარიაონო აგრონომია, შემდეგი ცნობები დანიშნანა სჩანს:

სარაიონო აგრონომისა იყო შემოღებული:

1906 წელს — 2 მაზრაში — 2 გუბერნიაში, სულ იყო — 10 რაიონი.

1907 წ. — 10 მაზ. — 4 გუბ. — 28 რაიონი

1909 წ. — 18 „ — 8 „ — 56 „

1909 წ. — 45 „ — 10 „ — 109 „

1910 წ. — 100 „ — 21 „ — 310 „

გარდა ამისა 1910 წელს ვერ მოასწრეს სხვადასხვა მიზეზებისა გამო გარდაწყვეტილების განხორციელება სიმბირის გუბერნიის ერობამ, რომელმაც დაადგინა შემოიღოს გუბერნიაში სარაიონო აგრონომის მთელი გუბერნიის 31 რაიონად დაყოფით. პენზის გუბერნიის ერობამ გადაწყვიტა გადასცეს საკითხი სარაიონო აგრონომის შემოლების შესახებ მაზრის ერობებს განსახილველად. ვიატკის გუბერნიის ერობამ გადასწყვიტა ძლიოს მაზრას, რომელიც მოისურვეს სარაიონო აგრონომის შემოლებას, ხუთას-ხუთასი მანეთი წელიწადში თვითონეულ რაიონის აგრონომის ჯამაგირის გასასტუმრებლად, ხოლო არა უმეტეს ორი აგრონომისათვის თითონეულ მაზრაზე.

სარაიონო აგრონომის შემოღებაზე უკვე აღმრულია ლაპარაკი კოსტრომის, ნოვგოროდსკის და სხვა ერობებშიაც.

საერთო რიცხვი აგრონომთა მთელ რუსეთის იმპერიაში ყველაგვარ სპეციალისტებისთვის იყო:

	ქადაგი	ქადაგი	ქადაგი
--	--------	--------	--------

1910 წელს — 721 — 1820 — 2541
1911 „ — 978 — 2363 — 3341
1912 წ. ითვლება — 1580 — 3618 — 5198.

ამგვარად ყოველ 100 აგრონომის მავიკად, რომელიც 1910 წ. ითვლებოდნენ, შემდეგი 1911 წლისათვის ჩაუყენებით სამსახურში 134 აგრონომი და 1912 წლისათვის — 205 აგრონომი, ესე იგი მდგომარე წელს რუსეთის აგრონომის ემსახურება ორჯერ იმავე მეტი რიცხვი აგრონომებისა, რაც დენიც ამორი წლის წინად ითვლებოდნენ. ამ აუარებელი რიცხვიდან მთელ კავკასიაში ითვლებიან 155 აგრონომი, კერძოდ ამიერ კავკასიაში კი სათქმელადაც არა ღირს მათი რიცხვი.

3. რცხილაძე

სამურნიმო ქაშინ-ისრალიშვილი

თუ რამდენად საჭიროა რომ ყოველ რაიონს სამეცნიერო მაშინა-იარაღების მისაწოდებლად რაიონში თავისი საწყობი ჰქონდეს გამართული, შემდეგი სტრუქტური ცნობებიდან შეიძლება დავინახოთ.

მარტო სამხრეთ რუსეთში, მარტო ერობებს აქვთ მოწყობილი 86 საწყობი სამეცნიერო მანქანა-იარაღებისა, რომელიც წელიწადში ვაჭრობენ:

5 ათასამდე მანეთისას... 4 საწყობი

სარაიონო აგრონომის შემოღებაზე უკვე აღმრულია ლაპარაკი კოსტრომის, ნოვგოროდსკის და სხვა ერობებშიაც.

საერთო რიცხვი აგრონომთა მთელ რუსეთის იმპერიაში ყველაგვარ სპეციალისტებისთვის იყო:

	ქადაგი	ქადაგი	ქადაგი
--	--------	--------	--------

1910 წელს — 721 — 1820 — 2541
1911 „ — 978 — 2363 — 3341
1912 წ. ითვლება — 1580 — 3618 — 5198.

ამგვარად ყოველ 100 აგრონომის მავიკად, რომელიც 1910 წ. ითვლებოდნენ, შემდეგი 1911 წლისათვის ჩაუყენებით სამსახურში 134 აგრონომი და 1912 წლისათვის — 205 აგრონომი, ესე იგი მდგომარე წელს რუსეთის აგრონომის ემსახურება ორჯერ იმავე მეტი რიცხვი აგრონომებისა, რაც დენიც ამორი წლის წინად ითვლებოდნენ. ამ აუარებელი რიცხვიდან მთელ კავკასიაში ითვლებიან 155 აგრონომი, კერძოდ ამიერ კავკასიაში კი სათქმელადაც არა ღირს მათი რიცხვი.

3. რცხილაძე

საწყობის საჭიროება ჩვენში.

5 ათასიდან 10 ათასდე მანეთისას... 10 „
10-დან 20-მდე მანეთისას. 19 „
20-დან 50-მდე მანეთისას. 26 „
50 ათას მანეთზე ზევით.. 27 „

ამ უკანასკნელთ, დიდი თანხის ღამატრიალებელ წლის განმავლობაში საწყობებს, აქვთ ვაჭრობა:

1. ელისავეტებრადისას ხერს. გუბერნ. . . 408,303 მან.
2. ალექსანდროვსკისას ეკატერ. გუბ. . . . 330,454 „

3.	ხელსონსკის მაზრი-	
სას.....	271,029 მან.	
4.	ნოვომოსკოვესკისას	
ეკატერ. გუბ.	186,619 "	
5.	პავლოვრადსკისას.	139,253 "
6.	სლავიანოსკრბსკი-	
სას...	135,843 "	
7.	იზუმრისას ხერ. გ.	122,463 "
8.	ვოლჩანსკისას	" .. 121,513 "
9.	ოდესისას ხერს. გ.	113,997 "
10.	ალექსანდრიისას ხერ.	
გუბერ.	112,348 "	
11.	ბახმუტსკისას ეკატ.	
გუბერნ.	97,085 "	
12.	ვალუისკისას ვორო-	
ნეჟ. გუბერნ.	92,650 "	
13.	გრაივორონსკისას	
კურსკ. გუბერნ.	76,133 "	
14.	ხოროლსკისას პოლ-	
ტავის გუბერნ.	74,696 "	
15.	ბობრივსკისას ვო-	
რონეჟ. გუბერ.	72,827 "	
16.	შჩიგროვსკისას კურ-	
სკის გუბერნ.	70,518 "	
17.	კობელიაკსკისას პოლ-	
ტავის გუბერნ.	66,251 "	
18.	სუმსკისას ხარკ. გ.	64,503 "
19.	სუდევანსკისას კუსკ.	
გუბერნ.	63,693 "	
20.	მარიუპოლსკისას ეკ.	
გუბერნ.	62,315 "	
21.	ფატეესკისას კუსკ-	
კის გუბერნ.	61,317 "	
22.	კონსტანტინოვრა-	
დისას პოლტ. გ....	60,832 "	
23.	ხარკვის მაზრისას..	54,517 "
24.	ახტირსკისას ხარკ. გ.	54,204 "
25.	ლებელინსკისას "	54,113 "
26.	მელიტოპოლსკისას	
ტავრ. გუბერნ.	52,133 "	
27.	გადიახსკისას პოლ-	
ტავის გუბერნ.	51,391 "	

ამგვარად პირველი იღვილი ჩამო-
თვლილ საწყობებში უჭირავს ელისა-
ვეტეგრალსკის საწყობს, ხოლო მთელ
რუსეთის საწყობებში კი იგი მესამეა,
ჩამოურჩება მარტო ორლოვსკის გუ-
ბერნიის საწყობს, რომლის ვაჭრობა
წელიწადში უდრის 536 ათას მანეთს,
და სამარიის გუბ. საწყობს, რომელიც
493 ათასი მანეთისას ვაჭრობს წელი-
წადში.

ამ საწყობებში სამეურნეო მაშინა-
იარაღების გარდა სხვა საქონელიც აქვთ
გასასყიდად, ისე რომ

1. სამეურნეო მაშინა-იარაღე-
ბი შეაღენენ 63,9% / 0
2. სახურავი რკინა 15,9% / 0
3. სხვა დანარჩენ ლითონების
საქონელი 9,2% / 0
4. თესლეულობა 7,4% / 0
5. სანოვაგენი 2,2% / 0
6. სხვა გარეშე საქონელი 7,9% / 0

ამ საერობო საწყობებიდან გასყიდუ-
ლი სამეურნეო მაშინა-იარაღები, ცალ-
კე კატეგორიებად დაყოფილნი, შეაღ-
ენენ მთელ რუსეთის ამავე საქონლით
ვაჭრობაში:

1. წვრილი სამეურნეო იარაღე-
ბი 22,3% / 0
2. სამკალი და ძნის შესაკვრე-
ლი იარაღები 20,5% / 0
3. სათიბი, სათესი და გასაპოხი-
ერებელი იარაღები 9,2% / 0
4. სალეწი მაშინები 8,9% / 0
5. თესლის სარჩევი იარაღები 7,1% / 0
6. სხვა 7,7% / 0

დღეს რუსეთში ყველაზე მეტად სა-
ერობო დაწესებულებანი შუამავლო-
ბენ მწარმოებელთა და მომხმარებელ-

თა შორის სამეურნეო მაშინა-იარაღებით და რკინით ვაჭრობის საქმეში.

ჩვენში ყველას ენაზე ის აკერია, რომ თავად-აზნაურობა ასრულებს ერობის საქმესო. მაშინადამე, ზემოდ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები საგულისხმიერო უნდა იყოს ტფილისის თავად-

აზნაურობისათვის, რომელსაც აქამო-მდე ჯერ არც ერთი ასეთი სამეურნეო მაშინა-იარაღების საწყობი არ გაუხსნია, თუმცა საჭიროება ასეთ საწყობ-ში აქ, ამიერ კავკასიაში, არა ნაკლებია, ვიდრე სამხრეთ რუსეთში.

ვ. გულბაათიშვილი

ღვინის დაუენება და შენახვა

(პროფ. შეტრიაშვილისან)

პირველი დუღილით ღვინის დადუღება არა თავდება. ჭაჭიდან გადაღებული ღვინო მაინც დუღილშია. ეს დუღილი ჩუმია, ნელი. ჭაჭიდან გადაღებული ღვინო უნდა პირამდე ავსებდეს ქვევრს. უნდა მაღიმალ ინახოს ხოლმე ქვევრი და გადაივსოს როცა კი დაიშრობს ერთხელ გადავსებული უნდა კიდევ ინახულოთ და გადავსოთ, თუ დააუშვრია. როდესაც დადგება ერთ დონეზე, აღარ იშრობს, მაშინადამე დუღილი დამდგარა, მაშინ ღვინო ხელმეორედ გადიღება თხლიდან და შეინახება შარანში ან ბოჩკებით სარდაფუში და მერე, სრული დამშიფების შემდეგ, ჩაისხმება ბოთლებში.

შარანი და სარდაფი. საფრანგეთში, საღაც სახარჯო ღვინოს ამზადებენ, ღვინის შესანახად მარნება აქვთ აშენებული, საღაც დუღილსაც ახდენენ და ინახვენ კიღვაც ღვინოებს. ამ მარნებში აქვთ ჭურჭლები, რომლებშიაც ხდება პირველი დუღილი, და ასინიც, რომლებშიაც ღვინოს გადაიღებენ ხოლმე ჭაჭიდან ნელი დუღილისათვის. აქვე აქვთ ჭურჭლები, საღაც ინახება დამთავრებული ანუ დამშიფებული ღვინოები, ვიდრე გაიყიდება. ხოლო იმ ადგილებში, საღაც კარგსა და გამო-

ჩენილ ღვინოებს აყენებენ, აშენებული აქვთ ორი სხვადასხვა გვარი შენობები: ერთია მიწის პირად აშენებული და აქვთ აქ ჭურჭლები პირველი დუღილის მოსახდენადაც და ჩუმი დუღილის გასათავებლადაც. ეს შენობები უდრიან ჩვენს მარანს. მეორე შენობა მიწაშია ჩამალული, უფრო ხშირად პირველ შენობის ქვეშ არის მოთავსებული და იხმარება ღვინის შესანახავად გასყიდვამდე. ამ შენობას სარდაფს ეძახიან (cave). ამ ორგვარ შენობებზე აქნობამდე არ არის შემდგარი ერთი რამ გარდაწყვეტილი არი.

გელდარლონის აზრით, მაგალითად, სარდაფი აუცილებელ საჭირებას არ შეაღებს კარგი ღვინის დასაყენებლად. იმ მემამულებებს, რომლებიც ღვინოს მაღე ჰყიდიან ესე იგი ვიდრე გაზაფხულის სიცხე დადგება, თავიანთი ღვინოები მარანში შეუძლანთ შეინახონ. თოთქმის ამავე აზრისა არის პოლლაჩიც, რომელიც ფიქრობს, რომ კარგი ხარისხის წითელი ღვინო, ესე იგი კარგი მასალიდან შემდგარი, ჯერ თანდათან უფრო დაუფრო მეტი სიციიის ზედგავლენით უნდა დაიწმინდოს და პხოლოდ ამის შემდეგ ამ ღვინისათვის იქნება საჭირო ცოტაოდენი სითბოც.

პოლლაჩის აზრით ღვინის დასამწიფებ-
ლად საჭიროა არა ჰაერის ზედმოქმე-
დება, როგორც პასტერი ფიქრობს,
არამედ სითბოს ზედგავლენა. აქედან
ის დასკვნა გამოჰყავს, რომ წითელი
ღვინისათვის მარანი უფრო შესაფერია,
ვინემ სარდაფი, რადგან მარანში ყვე-
ლა ის პირობებია, რომელთაც ღვინის
დამთავრება თხოულობს.

მართლა-და საიმპროოო, როცა ჩუ-
მი დუღილი თავდება და ღვინის თხლი-
დან გადაღების დრო დგება, მრავალ
ადგილებში სიცივე იწყობა და მატუ-
ლობს თანდათან. რასაკვირეველია რომ
ეს სიცივე ღვინოზედაც იმოქმედებს,
რადგან მარანიც თითქმის იმ გვარადვე
ცივდება, როგორც გარეთი ჰაერი. ამ
სიცივის ზედგავლენით ღვინო იწმინ-
დება, რამდენჯერმე გადაიღებენ და
სრულებით ჰშორდება მას მისი დუ-
ლიდედა. ჩვენ ვიცით, რომ სიცივე
აბრუებს დუღილედას, მუშაობა მას
აღარ შეუძლიან და ძირს ილექება.
გაზაფხულის სითბო ისევ გაათბობს ამ
ღვინოს და სასარგებლოც იქნება მის-
თვის, დაამწიფებს. სარდაფში კი სადაც
ტემპერატურა შეუცვლელად გრილია,
ამისთანა ცვლილება მოუხერხებელი
იქნება. რაც შეეხება დაბალ ოვინოებს,
მათი დაწმენდა და შენახვა პოლლაჩის
აზრით სიცივეს თხოულობს, სარდაფი
მხოლოდ ამისთანა ღვინოებისათვის
იქნება საჭირო და მარგებელი.

Portes და Ruyssen-ი თუმცა ზოგი-
ერთში პოლლაჩის აზრს არ ეთანხმე-
ბიან, განსაკუთრებით როცა ის უარ
ჰყოფს მეცვებადის ღვინოზე კეთილმოქ-
მედებას, მაგრამ იმაზრს კი, რომ წითე-
ლი ღვინოებისათვის მარანი სჯობია სარ-
დაფს, თვითონაც აღვიარებენ. მარნის

ასეთ უპირატესობას ამტკიცებს ამათი
აზრით ის, რომ მედოკში შესანიშნავი
წითელი ღვინოები დგება და იქ სარ-
დაფები სრულებით არ არის გავრცე-
ლებული. ესენი ეთანხმებიან პოლლა-
ჩის იმაშიაც, რომ ცოტა ალკოგოლია-
ნი, სუსტი აგებულების ღვინოებისთვის
მარანი კარგია მხოლოდ თებერვლამდე.
შემდეგ კი დაბალი ტემპერატურა, სი-
გრილე და, მაშასადამე, სარდაფი აუცი-
ლებლად საჭიროა მათ შესანახავად.
ამას გარდა ამ სწავლულების აზრით
ყოველგვარი ღვინისათვის, სუსტია იგი
თუ ჯანიანი, ულონოა თუ ძლიერი,
ცოტა ალკოგოლიანია თუ მაგარი, რო-
ცა ის მომწიფებული და დამთავრებუ-
ლი, აუცილებლად საჭიროა გრილი
ადგილი, ესე იგი სარდაფი. თუ ღვი-
ნო შესანახავად არ არის დანიშნული,
არავედ საჭიროა, რომ აღრე გასაყიდად
ცოტა შემოუსვლელი და ძლიერ შე-
ღებილი იყოს, მაშინ სარდაფი საჭირო
არ იქნება და არც სასურველია ტყუილ-
უბრალოდ მეტი ხარჯის გაწევა. იმ
შემთხვევაში კი, როცა ღვინომ მხო-
ლოდ რამდენიმე წლის შენახვით შე-
უძლიან გამოიჩინოს თავისი ბუნებითი
ლირსება და სიკეთე, ამ ღვინის შესა-
ნახავად სარდაფს დიდი მნიშვნელობა
აქვს. მაშ როგორც ვხედავთ, მარანი
კარგია, მაგრამ არც სარდაფია უსარ-
გებლო— მათი ხმარება ღვინის თვისე-
ბაზე და მის დანიშნულებაზეა დამო-
კიდებული.

თუ ღვინო რამდენიმე წლით არის
შესანახი, იგი მეორედ გადაღების შემ-
დეგ სარდაფში უნდა ჩავიდეს და იქ
ინახებოდეს.

ღვინის დამყენებელმა არ უნდა დაი-
ვიწყოს, რომ ღვინო ცოცხალ არსე-

ბასა ჰგავს და იმგვარადვე ჰსუნთქავს ჰაერის მეავბადს ჭურჭლის კედლებიდან შესულს გარედან. ჰაერს, რასა-კვირველია, შეჰყვება თან ყველა ის, რაც მასშია, მაშასადამე ყოველგვარი სუნი — შმორის სუნი, ძმრის სუნი, ოვაზის და სხვა. ამისათვის მარანში თუ სარდაფში ჰაერი სრულებით წმინდა უნდა იყოს. ერთი სწავლული ფრანგი ამის შესახებ ამბობს: „როგორც ვაზი თხოულობს, რომ მარტო იყოს ვენახუში, ისე ღვინოც ერთადერთი და მარტო მცხოვრები უნდა იყოს მარნისა ანუ სარდაფისაო; საჭიროა მუდმივი ყუჩადლება, რომ ღვინოს სხვა უცხო მდგმური არ შეეპაროს სადგომშით“. ღვინო ძალიან აზიზი და ნაზი არსება და ამასთან ხარბად ითვისებს ყველა იმ სუნსა და გემოს, რომელსაც მისცემს მას გარემოება. ამბობენ კარგი მოგემე ატყობს, ღვინო ბოჩქაში იყო შენახული, თუ თიხის ჭურჭელში; ნოტიო სარდაფში, თუ მშრალში. ბოჩქაში შენახულ ღვინოს ხის გემო აქვს, თიხის ჭურჭელში — თიხისაო.

საზოგადოდ მიღებულია, რომ მარანი და სარდაფი ჩრდილოეთ მხარეზე უნდა იყურებოდნენ და არც ნოტიო და არც ძალიან მშრალი ადგილი იყოს. თუ ნოტიო ჭურჭლს ობი მოკიდება, ჭურჭლის კედლებს გაატანს და წაახდენს ღვინოს, ცუდ გემოს მისცემს, იქნება, რომ სრულებითაც დაასნეულოს. ტემპერატურა მარანში უნდა ნელ-ნელა და ზომიერად იცვლებოდეს. სარდაფი უნდა იყოს ერთავად გრილი და შეურყეველი ტემპერატურისა.

ღვინის შესანახვი ჭურჭელი. რაც შეეხება ღვინის შესანახვ ჭურჭელს

ამაზე ყველა იმ აპრისაა, რომ ამის-თვის გამოსადეგი მხოლოდ მუხის ჭურ-ჭლია — ბოჩქა. ჭურჭლის კედლების სისქეს დიდი მნიშვნელობა აქვს. რამ-დენადაც ჰაერი იდვილად იმოქმედებს ღვინოზე ჭურჭლის კედლებიდან შე-სული ღვინოში, იმდენი ღვინო მაღა დამწიფდება; რამდენადაც ჭურჭლის კედლები თხელები იქნებიან, იმდენად ჰაერის ზედმოქმედებაც ღვინოზე შე-სამჩნევი და მარგებელი იქნება. თუ კედლები სქელები აქვს ჭურჭელს, ჰაე-რი ვერ იმოქმედებს კარგად და ღვი-ნო არ დამწიფდება. შესახებ იმისი თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰაერს, აი რას ამბობს გამოჩენილი საფრანგეთის სწავ-ლული პასტერი: „ღვინის დაყენებაში არ არის არც ერთი იმისთანა მოქმედება, რომ იმ ღრუს ან ყურძნის ტკბილს ან ღვინოს ჰაერი არ ერეოდეს, ხოლო ყველაზე შესანიშნავი ისაა, როცა ღვი-ნო მუხის ბოჩქაში შენახული. ბოჩ-ქის კედლები იშრობენ ღვინოს მიხე-დვით იმისა თუ რამოდენა სისქისა არიან ეს კედლები. ღვინის დაშრობა-ზე ბოჩქაში დიდი გავლენა აქვს აგრე-დვე სარდაფის მდებიარობას, მის ტემ-პერატურას და ჰაერის მოძრაობას. დაშრობის ღრუს ბოჩქაში ჩნდება ცა-რიელი აღვილი, რომელიც მაშინვე იკვება ჰაერით. ამ ჰაერის მუავბადი შედის ღვინოში და ამწიფებს მას. ღვი-ნის დამწიფება უნდა მიეწეროს ამ მეავბადის შეთვისებას და ნახშირმუ-ვის განთავისუფლებას ღვინიდან. ამი-ტომ ბოჩქები უფრო ღვინის დასამწი-ფებლად არიან საჭირონი და არა მის-შესანახვად (ღვინო ყველა ჭურჭელში შეიძლებოდა შენახულიყო), რადგან მათი კედლების შემწეობით გამოიწვე-

გა წყნარი, მაგრამ შესამჩნევი ჰაერის ზედმოქმედება ღვინოზე”.

რაც შეეხება ქვევრს მისი დიდი ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ განიერი, ფართო პირი აქვს და გრძეტიულად დახურვა მისი, რომ ქვევრი მუდამ საკის იყოს ღვინით, შეუძლებელი ხდება. მეორე ნაკლი ქვევრისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყელამდეა ჩაფლული მიწაში და ჰაერი ვერსაიდან ვერ უდგება, რომ გაუვენოს კედლებში და იმოქმედოს ღვინოზე. მესამე: მიწაში ჩამჯდარი ქვევრი ისეთ გარემოებაშია, რომ შესაძლებელია მიწიდან რომელიმე არა სასურველი ნივთიერება გადავიდეს ღვინში. ნოტიო მიწის და ქვევრის კედლებ შორის შეიძლება წარმოსდგეს ერთგვარი ღიფუზია (ნივთიერებათა გადასვლა) და ეს ხეირს არ დააყრის ღვინოს, სულ არა იყოს-რა მიწის გემოს მისცემს. მართალია ზოგან ქვევრები ჩაკირულია და, მაშასადამე, ნესტიან მიწას მოშორებული არიან, მაგრამ ამგვარ ჩაკირვას ყველა ვერ მოახერხებს, რადგან ძვირად ჯდება, და რომ მოხერხდებოდეს კიდევაც, ამით მანც მხოლოდ ერთი ნაკლი იქნება აცილებული და ყველა სხვა კი ისევ

ექნება ქვევრს. მაინცა და მაინც ქვევრების ავ-კარგიანობაზე გადაწყვეტით არა შეიძლება-რა ჯერ ითქვას, საჭიროა გამოკვლევა განსაკუთრებით იმ მხრივ, თუ რა გვარიდ და რა სიჩქარით იშრობს ქვევრი ღვინოს და ჰაერი რანაირად მოქმედობს იმის კედლებზე.

ჩვენში ზოგან, მგონი, გავრცელებულია ქვევრების დაქაშანურება. ეს კარგია მხოლოდ იმ ხანასთვის, როცა ღვინო სრულიად დამწიფებული - დამთავრებულია და მხოლოდ შენახვა ღაა საჭირო. იმ ხანაში კი, როცა ღვინო ჯერ ისევ შემოუსვლელია, იმის დასამწიფებლად ესეთი ჭურჭელი სრულებით გამოსადეგი არ არის, რადგან დაქაშანურებულ ქვევრის კედლებს ჰაერი ველარ გაატანს და ვერ იმოქმედებს ღვინოზე. ქაშანური ჭურჭელი შუშის ჭურჭელს მიემზგავსება და შუშის ჭურჭელში კი, როგორც პასტერმა დაამტკიცა ცდით, თუ გრძეტიულად არის დახურული ჭურჭელი და სავსეა ღვინით, ღვინო სრულებით აღარ მწიფდება.

ვინც ქვევრის თვისების გამოკვლევას იკისრებს, დიდად დაავალებს ჩვენს მეღვინეობას.

მოსენება

ქართულ სამეურნეო საზოგადოების საპარე მიმრ არჩეულ კომისიის, რომელიც
იყო გამზადებული ქართლის აზროვნების ნამუშევრის დასამართლის მიმღებად.

თანახმად საბჭოს გადაწყვეტილებისა, ქართლის აგრონომის ნამუშევარის დასათვალიერებლად ვიყავით: იოსელიანი ე., ყაზახაშვილი ს., მჭედლიშვილი ვ. და მდივანი საზოგადოებისა ვ. რცხილაძე.

ნამუშევარის ნახვით იდგილობრივ ყველა ჩვენთაგანი უფრო მეტად დაკმაყოფილდა, ვიდრე თვით აგრონომის მიერ ამ მუშაობის შესახებ აქ ნაამბობით.

იმ დღით, როცა ჩავედით, მოვასწა-

რით მხოლოდ აგრონომის ბინის მოწყობილობის და ამ ბინასთან ახლო დათვესილ სიმინდის დათვალიერება.

აგრონომის ბინა არის ხალვათი და გეზიანი, მიმსვლელისათვის აღვილი საპოვნელი. ფართე სასტუმრო, მაგიდა წიგნებითა და პრეისკურანტებით ზედ გაშლილი, აქვე ნიმუშები სხვადასხვა თესლეულობათა და წვრილი სამეურნეო იარაღები.

ოთახის ოთხივ კედლებზე გაკრულია ხელით ასრულებული პლაკტები, რუსულ პლაკატებიდან გადმოღებული შინაარსით. სისუფთავე, რომელიც დაცულია პლაკტების ნახატებში და ზედწარწერებში უტყუარად ამტკიცებენ აღმსრულებელის მიერ გულმოდგინედ გაწეულს ხანგრძლივ ჯაფას. ოთახი თავის შიგნით მოწყობილობით და გარედ ბალკონით დანიშნულების შესაფერს შთაბეჭდილებას ახდენს მიმსვლელზე.

იქვე ახლო, გორის სამეურნეო ამხანაგობის მამულში აგრონომს დაუთვენია საცდელად სიმინდი. მთელი ნახავი ორ ნაწრად არის გაყოფილი. ნახევარი მანქანით არის დათვესილი წკრეზე, ნახევარი — ხელით არის მოფანტული. არც ერთი და არც მეორე ჯერ არ იყო მეორედ გათოხნილი. პირველად დათვესილი თესლი წვიმებისა და სიცევების მიზეზით მომცდარიყო, ისე რომ სიმინდი, რომელიც ენახეთ, ხელმეორედ დაეთვესნა გვიან და ამიტომ იგი, გარშემო სოფლების სიმინდებთან შედარებით, რომლებიც წინადაც დათვესილან და კიდევაც გაეთოხნათ პატრონებს, უფრო ტანდაბალი დაგვინდება.

წკრეზე დათვესილი სიმინდი ალაგალაგ გაწყვეტილია, რაიც აგრონომმა იმითი ახსნა, რომ სათვეს მანქანას კარგად ვერ ვუთვალყურეთ, მარცვალი იჩხირებოდა და არ გამოდიოდა ზოგჯერო.

მეორე დღეს გავემგზავრენით სოფელ თამარაშენში, სადაც საცდელად უფრო მეტი ნათესობა აქვს აგრონომს. აქ, თავად ფალავანდიშვილის მიწაში, აგრონომს დაუთვესნია ჩვენებური ჩვეულებრივი სიმინდი, საკვებავი ჭარხალი და სტაფილო. ნათესობისათვის აქ უფრო კარგად შეუწყვია ხელი. წკრეზე დათვესილი სიმინდი უფრო უკეთესად გამოიყურება, ვიდრე ხელით მოფანტული, თუმცა მიწა ერთია, ერთ ღროს არის მოხნული, დაფარცხული, დათვესილი, გათხელებული და გათოხნილი. გლეხები იმითი ხსნიან წკრეზე დათვესილ სიმინდის ზედმეტად გაზრდასო, — გვითხრა აგრონომმა, — რომ ხელით დათვესილში უფრო ღრმად ცვივა თესლი მიწაში, ვიდრე როცა მანქანით ითესებათ, ამიტომ ხელით დათვესილს ამოსვლა პირველში დაუგვიანდა.

ამ საცდელ მინდვრის სანახავად ბევრნი თურმე მოღიან აქეთ-იქით სოფლებიდან. ეტყობა მანქანით თესლის გლეხის ყურადღება უკვე მიუბყრია. გამარჯვება ამ წესისა სიმინდის მოსავალზე იქნება დამოკიდებული, რაც შემოღომით გამოაშკარავდება.

თამარაშენის გარდა კიდევ ორ სხვა ადგილასც ვინახულეთ ჩვენი აგრონომის მიერვე დათვესილი საცდელად სიმინდები.

ამგვარად განხრახვა აგრონომისა ამ წლეობით თუმცა მეტად მარტივია,

მაგრამ გარკვეული და პატივსადებია. ეს განზრავა იმაში მდგომარეობს, რომ დაუმტკაცოს ხალხს უპირატესობა სიმინდის მანქანით დათესვისა წკრეზე.

ხვნა-თესვის კულტურა უფრო მაღლა დგას ქართლში, ვინემ მაგალითად კახეთში. კახეთში სთესავენ მხოლოდ დოლის პურს, თავთუხს, ღიკას, შემოდგომის ქერს, სიმინდსა და ფეტვს. ქართლში კი ყველა ამ თესლეულობის გარდა ითესება კიდევ: შავთხა, ანტუშლის ქერი ორ-რიგიანი და ექვს-რიგიანი, უგრეხელა, შვრია, ჭვავი.

იშვიათი შესახვედრი არ არიას ქართლში სარკვევი მანქანით დარკვეული თესლით დათესილი მინდვრები.

ყველა ეს ზედმეტი ცოდნა ხალხისა ხვნა-თესვის საქმეში ადვილებს აქ გაუმჯობესობის შეტანას ამ დარგში. მომავალში შედეგი აგრონომის მოქმედებისა ქართლში უფრო საგულისხმიერო და საიმედო იქნება, თუ ცოდნა-გამოცდილებით და წინდახედული სიფრთხილით შეეწყო ხელი ამ საქმეს.

ვნახეთ აგრედვე თაღ კ. მ. ამირაჯიბის მეურნეობა და მის მიერ დაარსებული სახელოსნო სკოლა, რომელსაც ჩვენმა საზოგადოებამ აღუთქვა 1000 მან. დახმარება ყოველ წლივ.

ამ განათლებული მეურნის მოღვაწეობიდან უნდა აღინიშნოს ორი მხარე, რომლისაც ყველასათვის ცხადი და უტყუარი სარგებლობა მოაქვს მთელი რაიონისათვის. პირველი — ეს არის სარკვევი მანქანით დარკვეული თესლის გავრცელება სოფლებში და მეორე — ის პროგრამა პრაქტიკულ შუშების მოსამზადებლად, რო-

მელიც შეუმუშავებია ამ მოღვაწეს თავის სახელოსნო სკოლისათვის.

„წინადვე გავამზადებინებ ხოლმე 1000 ფუთამდე დარკვეულ-გადარჩეულ თესლს, — გვიამბო კონსტანტინე მიხეილისძემ, — „რაღაც ვიცი, რომ ერთბაშად მომაწყდებიან გლეხები და მთხოვენ თესლის გადარჩევების მანქანით. როცა მოიტანენ ხორბალს ურმებით, იმათ თვალწინ ვიღებ 10 ფუთ ხორბალს, გარკვევინებ და რამდენიც გამოვა თესლი, იმის კვალობაზე ვუცვლი მოტანილ ხორბალს ჩემი პურისაგან გადარჩეველ თესლში.“

ოლონდაც რომ დიდი საქმეა თუნდაც მარტო 1000 ფუთი დარკვეული თესლის გაცემა სოფლებზე ყოველ წლივ!

ვნახეთ ჩვენ გზადაგზა ამგვარი თესლით დათესილი მინდვრებიც და გადურჩეველი თესლით დათესილებიც. რა დიდი განსხვავებაა! დაურჩეველი თესლით დათესილ მინდორს ადამიანი შეცდომაში შეჰქავს. შორიდან გონია, რომ ჭვავია დათესილი. მიხვალ ახლო და ხედავ რომ ჭვავი კი არა პური სთესია, ხოლო რადგან ჭვავი ბლომად შეჰქავლია თესლს, პურზე მაღალი გაზრდილა, ზემოდან მოქცევია მას, დაუჩრდილავს, შეუყენებია გაზრდა-განვითარება პურის თავთავისა და თითქმის გაუნახევრებია მოსავალი.

დარკვეული თესლით დათესილ ყანაში კი გარეშე მცენარეს ერთსაც ვერ იპოვი, რომ წამლად გინდოდეს. აქ მთელი ზღვა დელავს მოსავალისა შედარებით პირველგვარ მინდვრებთან.

სახელოსნო შესდგება ორის განყოფილებისაგან: სამჭედლო-საჩილინგრო და საღურგლო. პირველში სწავლობენ

ორ ჯგუფად 24 ყმაწვილი, წლოვანობით 12—16 წლისანი და მეორეში—36 ყმაწვილი, იმავე ხნისანი

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ დიდი და სასარგებლო რაზმს პრაქტიკულად დახელოვნებულ მუშებისას შეჰქმნის ეს სკოლა მომავალში.

რომ ნათელ ვყოთ გზა ამ სკოლის უტყუარი წარმატებისა, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ აქ სამჭერლო-საჩილინგროს განყოფილებაში ყმაწვილები 3—4 თვეში ასწრობენ იმდენის გავლას, რამდენსაც ტუილისის სახელოსნო სასწავლებელში, მაგალითად, მთელი წელიწადი უნდებიან.

ჩვენ კითხვაზე, თუ რანაირ საშუალებებს ხმარობენ ხელობის შესასწავლებლად, ან რანაირს აძლევენ სავარჯიშოებს მოწაფეს, ბ. ამირაჯიბმა გვიპასუხა: „აი, მაგალითად, ხვალ, ორშაბათს მე უნდა მოწაფეების უნხავად დავშალო ორი ეს სამკალი მანქანა, ერთი მაკ-კორმიკისა და მეორეც სხვა ფაბრიკისა; შემდეგ ავურევ ამ ორკვე მანქანის ყველა შემადგენელ ნაწილებს ერთმანეთში და მივცემ მოწაფეებს ასაწყობად. ვიცი, იწვალებენ დიდხანს, მაგრამ რაკი ერთი სძლევენ ამ საქმეს და ააწყობენ სწორედ. მერე მუდამ ეცოდინებათ ეს საქმე და კიდევაც გამოიყენებენ ცხოვრებაში“.

ყველა ნანახოთა და გავონილით სრული ნასიმოვნები დავბრუნდით სოფელ ავლევიდან.

საბჭომ მოხსენება მხედველობაში მიღორ და სოხოვა მღივანს ოქმში შეიტანოს ყოველი, რაც ითქვა.

როგორი გამოსავალი ჰქონდა საცდელად დათესილ სიმინდს სოფელ თამარაშენში მეორე კომისიის გამოანგარიშებით აღგილობრივ.

მოსავლის სანახავად ვიყავით მარიამობისთვის 27-ში აქედან წასულები: იოსელიანი გ., თავ. ლორთქიფანიძე პ. და საზოგადოების მდივანი ვ. რცხილაძე და იქ დამსწრები თვა ანტონ ფალავანდიშვილი, პატრონი სიმინდისა, და თვით ქართლის აგრონომი ე. კაბელაშვილი.

იმინდი შემოსული დაგვიხვდა მოსაჭრელად. გამოსავალის გასაზომად კომისია ასე მოიქცა:

გადავხომეთ სხვადასხვა აღგილის ხუთი თანატოლი კორომი აღგილი.

სიგანით.....	4 ლაჯი
სიგრძით.....	25 "

მერე რო გავხომეთ, ერთი ლაჯი გამოიდა $17\frac{1}{2}$ ვერშოკი.

1) კორალი მანქანით დათესილა	
ლერი დაითვალა	231 ცალი
ამათში უტაროო იყო.	16 "
ტაროიანი....	215 "
ტარო გამოვიდა (ზოგ ფუჩეჩხე ტარო მო- ტეხილი იყო)	198 "

გავყავით ეს ტაროები სამ ხარისხიად და მივიღეთ:

პირველი ხარისხისა კარგი ტაროები	27 ცალი, რომელიც იწონიდნენ 9 გირ.; 10 ტარომ აქედან აიწონა 4 გირ.
---------------------------------	--

მეორე ხარისხისა, საშუალო ტაროები	იყო 30 ცალი, იწონიდნენ ყველანი 8 გირგან ქას; 10 ტარომ აქედან აიწონა 3 გირ.
----------------------------------	--

მესამე ხარისხისა, ღინკლები დაითვა-
ლა 141 ცალი, აიწონეს 22 გირ.; 10
ცალმა აქედან აიწონა $2\frac{1}{2}$ გირ.

სულ გამოვიდა:

**198 ტარო, იწ. 39 გირ.; 30 ტარო
გადარჩეული იწ. 9 $\frac{3}{4}$ გირ.**

2) პირველ კორომის გვერდით იმო-
დენავე ადგილზე ხელით დათესილ სი-
მინდს გამოვიდა:

ღერი დაითვილა.....	213 ცალი
ამათგან უტაროო იყო..	35 "
ტაროიანი.....	178 "

სამ ხარისხად დაყოფილი გამოვიდა:
პირველი ხარისხისა:

17 ტარო, 7 გირ.; 10 ტ.=4 $\frac{1}{4}$

მეორე ხარისხისა:

24 ტარო, 7 $\frac{1}{2}$ გირ.; 10 ტ.=3 გ.

მესამე ხარისხისა:

128 ტარო, 19 გ.; 10 ტ.=2 $\frac{1}{2}$ გ.

სულ: 169 ტ., 33 $\frac{1}{2}$ გ.; 30 ტ.=10 გ.

3) მანქანით დათესილი:

ღერი იყო....	224 ცალი
უტაროო	1 "
ტაროიანი.....	223 " (ზოგ ჩეჩქს ორი ტაროჭქონდა).

აქედან პირველი ხარისხისა იყო:

30 ტარო, 11 $\frac{1}{2}$ გ.; 10 ტ.=4 გ.

მეორე ხარისხისა იყო:

106 ტ., 29 $\frac{1}{2}$ გ.; 10 ტ.=3 $\frac{1}{2}$ გ.

მესამე ხარისხისა იყო:

91 ტ., 15 $\frac{1}{2}$ გ.; 10 ტ.=2 $\frac{1}{2}$ გ.

სულ: 227 ტ., 56 $\frac{1}{2}$ გ.; 30 ტ.=10 გ.

4) ამ ზემოხსენებულ კორომის გვერ-

დით, იმოდენავე ზომის ადგილზე; ხე-
ლით დათესილი სიმინდი გამოვიდა:

ღერი..... 166 ცალი

უტაროო... 7 "

ტაროიანი .. 159 "

ტარო დაითვალია:

პირველი ხარისხისა:

15 ცალი, წონით 5 $\frac{1}{2}$ გ.; 10 ტ.=4 გ.

მეორე ხარისხისა:

52 ც., წონ. 14 $\frac{3}{4}$ გ.; 10 ტ.=3 გ.

მესამე ხარისხისა:

86 ც., წონ. 13 $\frac{3}{4}$ გ.; 10 ტ.=2 $\frac{1}{2}$ გ.

სულ: 153 ც. წ 34 გ.; 30 ტ.=9 $\frac{1}{2}$ გ.

შევაერთოთ ორ ჯგუფად ეს ოთხივე
ანგარიში, მანქანით დათესილები ცა-
ლკე, ხელით — ცალკე ერთად და მივი-
ღებთ ორთაშუა ანგარიშით:

I. მანქანით დათესილი სიმინდი:

ტაროიანი ღერი იყო.. 438 ც.

უტაროო 17 "

სულ.. 455 "

ტაროები იყო:

1-ლი ხარისხისა .. 57 ტ., იწ. 20 $\frac{1}{2}$ გ

მე-2 ხარისხისა .. 136 ტ., იწ. 37 $\frac{1}{2}$ გ.

მე-3 ხარისხისა .. 232 ტ., იწ. 37 $\frac{1}{2}$ გ

სულ... 425 ტ., იწ. 85 $\frac{1}{2}$ გ.

II. ხელით დათესილი სიმინდი:

ტაროიანი ღერი იყო.. 337 ც.

უტაროო 42 "

სულ... 379 "

ტარო იყო:

1-ლი ხარისხისა .. 32 ც., იწ. 12 $\frac{1}{2}$ გ.

მე-2 ხარისხისა .. 76 ც., იწ. 22 $\frac{1}{2}$ გ.

მე-3 ხარისხისა .. 214 ც., იწ. 32 $\frac{3}{4}$ გ.

სულ... 322 ც., იწ. 67 $\frac{1}{2}$ გ.

ორი კორომი ადგილის ზომა უდრის დაახლოებით ერთ ოთხმოცდამეტერთ-შეტე ნაწილს დესეტინისას. მაშასათამეგ გამოსავალი მანქანით დათესილი სიმინდისა ერთ დესეტინაზე იქნება 85,5 გრ. $\times 91$ ანუ 195 ფუთი, დაახლოებით; ხელით დათესილისა კი 67,5 გ. $\times 91$ ანუ 153 ფუთი.

რადგან ჩვენის აწონით ცხრა გირვანქა ტაროდან ექვსი გირვანქა მარცვალი დადგა, ესე იგი ორი მესამედი მარცვალი იყო. ხოლო ერთი მესამედი ნაქუჩალი, ანუ როგორც კახეთში ეტყვიან ტაროს ჩეჩქი, ამიტომ პირველი, ესე იგი მანქანით დათესილი სიმინდიდან დადგება დესეტინაზე 130 ფუთი მარცვალი ანუ კოდობრივ — 135:5 = 27 კოდი და ხელით დათესილ სიმინდს კი — 102 ფუთი ანუ კოდობრივ 20 კოდი.

მართალია ორივე ძალიან მცირელი მოსავალის, მაგრამ მანქანით დათესილისა და ხელით დათესილს შორის მაინც დიდი განსხვავება არის. სად 27 კოდი და სად 20 კოდი

თუმცა ვცდილობდით ორივე გვარ ნათესობიდან ერთნაირად შემოსული, გამხმარი ტიროები აგველო, მაგრამ მიუწედავად ამისა ეს ჩვენი გამოანგარიშება მოსავლის რაოდენობისა კარგად და შორებული იქნება, ვფიქრობთ, ნამდვილი შედეგიდან, ხოლო განსხვავება ხელით დათესილსა და მანქანით

დათესილს შორის და ამ უკანასკნელის უპირატესობა პირველთან შედარებით ყოველ ეჭვ გარეშეა, როგორც ზემოთ მოყვანილიდან სჩანს.

რადგან მანქანით დათესილი სიმინდი ყველგან ერთნაირი არ იყო, ამიტომ ჩვენ ამოვარიჩიეთ საუკეთესო ადგილიც და იქ გადავზომეთ იმოდენავე ოთხ-კუთხი და ისევე გამოვთვალეთ ლეროები და ტარო, როგორც ზემოთ. მივიღოთ ტაროები:

პირველი ხარისხისა:

23 ც., წონ. $10^{1/2}$ გ.; 10 ტ.= $4^{1/2}$ გ.

მესამე ხარისხისა:

90 ც., წონ. $30^{1/2}$ გ.; 10 ტ.= $3^{1/2}$ გ.

მესამე ხარისხისა:

127 ც., წონ. 24 გ.; 10 ტ.= $2^{3/4}$ გ.

სულ: 240 ც., წ. 65 გ.; 30 ტ.= $10^{3/4}$ გ.

ყველგან რომ ესეთი გათამამებული სიმინდი ყოფილიყოს მანქანით დათესილი, განსხვავება ხელით დათესილთან უფრო მეტი იქნებოდა (ხელით დათესილი სიმინდი იქ სადაც მოვჭერით, თუ არ კარგი, იმაზე დაბალი არ იყო რაც სხვაგან იქვე საცდელად დათესილ მიწაში).

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ წელს ქართლში ურწყავ ადგილებში ხანგრძლივი, არა ჩვეულებრივი გოლვისა გამო სიმინდის მოსავალი ძალიან იყო დაზარალებული.

მიწათმოქმედების დეპარტამენტის პასუხი ურნელ „მოსავალის“ რედაქციის მიერ გაგებილ თქმისას (*)

გამოიწეროს თავისი ხარჯით ახალი ჯიშის მცენარეები შემუშავებული ბერნბაკისავან Centa Rosa-ში — კალიფორ.

თქვენგან მიღებულ თხოვნაზე, რომ საზღვარ გარეთიდან დეპარტამენტმა *) იხ. „მოსავალი“ № 10.

ნია, დეპარტამენტს აქვს პატივი გაცნობოთ, რომ ზოგი ამ მცენარეთაგანი უკვე იყო გამოწერილი და ნაცადი როგორც დეპარტამენტის ისე კერძო რუს-მეურნეების მიერ და ის ღირსებათვისებანი, რასაც მათ აშენდა ლიტერატურა, ან სრულიად არ აღმოუჩენიათ ამ მცენარეებს, ან ეს თვისებები დაკარგვით მათ მეორე თაობაშივე და ან ვერ იტანენ ჰავას ისეთ ადგილებში, სადაც მინიმუმი ზამთრის ყინვებისა აღემატება—8° ც. კერძოდ, შესახებ ახალი ჯიში უკლო კაკტუსისა Opuntia ფ. კრისტოფოვიჩმა—რუსეთის სამეურნეო საქმეთა უფროსმა აგენტმა-წარმომადგენელმა ამერიკაში, გამოსთხვა ის აზრი, რომ ზემოხსენებული კაკტუსი, რომელსაც ურჩევენ გააჩინონ იმ ადეილებში, სადაც გოლვისა გამო სხვა მცენარეები ვერა ხარობენ, არ უნდა ვარგოდეს საქონლის საკვებაგად, რაღაც ნორჩი ფოთლებს ამ მცენარისას აქვთ მეცენებიც (ფოთლის და ნაყოფის დასაწყისი ადგილები) და ეკლებიც (ნახევარ დუიმამდე სიგძით); ამასთანავე ეს ეკლები ბერნბაკის კაკტუსისა ქერის ფხაზე უფრო მაგრები და წვეტიანები არიან და შემდეგ იკარ-

გებიან ზრდაში მარტო ძირითა ფოთლებზე, რომელთაც საქონელი ვერ მიუდგება, თუ ჯერ ზემოთა ეკლიან ფოთლებს არ მოჰკორტნისო. ფ. კრისტოფოვიჩის აზრით რუს-მეურნეების ყურადღების ღირსია მხოლოდ ბერნბაკის ახალი ჯიშის კართოფილი, რომელმაც დაკმაყოფილა მოთხოვნილება ამერიკული ბაზრისაც და მთელი იქაური ცხოვრებისაც და ამიტომ შეიძლება ვურჩიოთ რუსეთშიაც გააჩინონ ეს ახალი ჯიში.

ხოლო ყველა სხვა ჯიშის მცენარეებმა კი, რომლებიც შეიმუშავა ბერნბაკმა, თვით ამერიკაშიაც ვერ მოიკიდეს ფეხი, რაც უპირველესად ყოვლისა უნდა მომხდარიყო, უკეთუ მივღებთ მხედველობაში ამერიკილების ადვილად მიყოლის ყველაგვარ საქმეში.

ამიტომ დეპარტამენტს ნააღრევად მიაჩნია ჯერჯერობით ბერნბაკის მიერ შემუშავებული ახალი მცენარეების გამოწერა რუსეთში გასავრცელებლად, მით უმეტეს, რომ მათი გამოწერა ძალიან ძვირიადა ჯდება.

(ხელს აწერენ დეპარტამენტის ვიცე-ინიჭეტორი და ნახალნიკი მე-III განყოფილების.)
10 სექტემბერი 1912 წ.
№ 49061.

მანქანა ჰემის კოდერაციას

(წერილი სოფლიდან)

ეს უკულმართი მსვლელობა ეკონო-მის მხრით ცხოვრებაში უცაბედად გააცინებს კაცს. ისეთივე სიტყვები, რომლებიც ჩემმა ყურებმა გაიგონეს გლეხებისაგან დღეს, ათასობით დახარ-ჯულა და თქმულა სოფლად, მაგრამ ერთ ყურში შესულა და მეორეში გა-სულა. ეხლა კი, კარგად შევნიშნე რო

რამდენმამე გლეხმა გულზედ ხელი და-იკრა და საქვა: „მაშ ისე როგორ მოვ-კვდებით, თუ ჩვენც არ ვაგუგუნეთ სალეჭი მაშინაც“.

თუ რამ აიძულა ეს გლეხები ამის-თანა ფიცს ამას დახლოებით გიამ-ბობთ:

1911 წელს თიანეთის მაზრის და

კახეთის რამდენმამე შეძლებულმა მემა-
 მულებმ, დაახლოადით ოცამდე პირმა
 მოიწადინეს პატარა ამხანაგობის შედ-
 გენა და აქციების საშუალებით პატა-
 რა კაპიტალის გამოჩეკნა, რომე-
 ლიც უნდა აემუშავებინათ სამეურნეო
 იარღების შეძენითა და გამოყენებით
 სოფლებში. ამათ, რასაკვირველია, სა-
 ხეში ჰქონდათ თავიანთი კაპიტალის
 გასუქება და სხვათა შორის იქნება ხალ-
 ხის შრომის შემსუბუქებაზედაც ფიქ-
 რობდნენ. ასე იყო, თუ ისე მაისში თუ-
 შების სოფელში, ქვემო ალვანში, უკვე
 კამებებით მოაცოცეს სალეჭი მანქანა
 თავისი ორთქლის ქვაბით და წისქვი-
 ლის ქვებით.

ამ მანქანას ასე ასწერენ:

გაკეთებულია იგი ინგლისში, „კლეი-
 ტონის“ ფირმაა, ამხანაგობა არის ხარ-
 კოვში „გელფერის სადესი“. აქ მოი-
 ტანეს ორთქლის ქვაბი სალეჭი მანქა-
 ნით რეა ღონიანი, თან აქვს თავისი
 საბზევებელი მანქანა, ტფილისამდის
 დაუჯდა ამხანაგობას მოტანით ცხრაას
 ორხოცდა ათი თუმანი. შეტანილი აქვთ
 პირველად ჯერჯერობით ექვსასი თუმა-
 ნი, დანარჩენი ორასი თუმანი ორის.
 წლობით უსარგებლოდ დასცალდათ.
 დღედამეში რეას ფუთსა ლეწავს, თუ
 შეუჩერებლივ იმუშავა მანქანამათ, მი-
 თხრა ერთმა წევრთაგანმა, რომელიც
 ხელმძღვანელობდა მანქანას. გალეჭის-
 თვის მინდს მეთერთმეტე ნაწილს იღე-
 ბენ. მეტს წილს აღებულს პურს აღა-
 ვობრივვე ჰყიდიან ფუთს მანეთად.
 თვეში გასავალი ხარჯი ოცდახუთი თუ-
 მანი ჰქონიათ, შემოსავალი წმინ-
 და რჩება თვეში ამხანაგობას ოთხმოც
 თუმანი.

პირველად ლეწვა დაიწყეს ნაფარეუ-
 ლის საუფლისწულო მამულში, შემ-

დეგ უნდა გამოლმა სოფლებს ამო-
 ჰკულოდა და ახმეტაში გაჩერებულიყო
 ენკენისთვემდის. მთელი გლეხკაცობა
 სოფლებში დადგმული ძნებით მის მო-
 ლოდინში იყო. როდესაც ნაფარეული,
 სანიორე და ართანა მორჩნენ, ჯერი
 ფშაველზე და ლალისყურჩე მიღვა,
 მაგრამ სოფელ ახმეტიდან, სადაც ამ-
 დენიმე წევრი სცხოვრობს, ჩამოერევნათ
 საქონელი და ის იყო ძალათ უნდა წაე-
 ღოთ მანქანა, რომ ლალისყურელები მა-
 გრად არ დახვედროდნენ, ესც აქაური
 ერთის წევრის წყალობით, თორემ ლა-
 ლისყურელებიც ფშავლელებივით დარ-
 ჩებოდნენ გულხელ დაკრეფილნი ან
 და საქმე უსისხლოთ არ გათავდებოდა.
 ეს ახირებული საქმე ვგონებ რომ შე-
 გნებული წევრების ბრალი არ უნდა
 იყოს, ეს უფრო მიეწერებათ იმ ორი-
 ლე მსუბუქ ვაჟბატონთ წევრებს, რომ-
 ლებსაც თავიანთი ეინიანი ხასიათით
 ბევრჯელ ცხვირში ამოუკრავთ ლა-
 ლისყურის წევრმაც და ხალხმაც თავი
 გამოიდეს, რადგან მატერიალურადაც
 ხომ ისჯებოდნენ და თავმოყვარეობაც
 გიწასთან უსწორდებოდათ. სალეჭი მან-
 ქანა აქედან მარიამობისთვის რეაში წა-
 იღეს, რადგანაც ლალისყურში მორჩა.
 დარჩა ფშავლის გლეხობა ხახმშრა-
 ლი.

აი, სწორედ ეს ხალხია რაღაც მით-
 ქმა-მოთქმაში, მითომ აპირობენ მთელ-
 მა საზოგადოებამ იყიდოს ერთი მან-
 ქანა თავისი ქვაბით, რომ კვლავისთვის
 მანც იმ ზემოხსენებულს ვაჟბატონე-
 ბის სათამაშოთ არ გახდნენ ესე კვე-
 ლასგან სასაცილოდ აგდებულები. მე
 ზედმიწევნით არ ვიტყვი და არც ვიცი,
 კვლავისთვის მანქანას შეიძენენ ფშავ-
 ლელები, თუ არა, მაგრამ რო ეს ხალ-

ხი დღეს გაჯავრებულია და მტკიცედ ადგა ამ აზრს რომ დღეს თუ არა, ხეალ მაინც შეერთდნენ და შეერთე-

ბულის ძალით იყიდონ მანქანები, ეს კი აშკარაა.

ევ. დალაქიშვილი

სანიშვნო ცეცხლი

წარილი საოცლო-სამურნეო ამბანამოზის

დამტკიცებულია მიწათმოქმედების და მიწათმოქმედების მთავარ გამგის მაგივ-
რა მის ამსანაგის მიერ 18 ნოემბერს 1908 წელს.

§ 1. ამხანაგო-
ბის გუბერნიისა
მაზრისა მიზანია დაუხმაროს თავის
წევრთ: 1) სასოფლო მეურნეობისა-
თვის საჭირო საგნების შექვნაში და
აგრედვე სასოფლო სამეურნეო ნაწარ-
მოების ტეხნიკურათ დაგუშავებაში სა-
ერთო ხარჯით გამართულ დაწესებუ-
ლებებში და 2) ამხანაგობის წევრთა
მეურნეობის გაუმჯობესობაში ურთი-
ერთ მოსახრებით და სათანადო საშუა-
ლებათა სისრულეში მოყვანით.

§ 2. გადასახადების და ყოველგვარ
ხარჯების გაღებაზე, უძრავ ქონების
შექნაზე, სავაჭროებისა და სასოფლო-
სამეურნეო ნაწარმოების დასამუშავებ-
ლად საჭირო დაწესებულებების გახს-
ნისა და შენახვაზე, გამოფენების, სა-
მკითხველოების, სასოფლო-სამეურნეო
კითხვა-საუბრების გამართვაზე, წიგნე-
ბის და ბროშურების ბეჭვდაზე და სხვა
ამგვარ საქმეებზე. ამხანაგობა ექვემდე-
ბარება ყველა ამ საგნებზე არსებულ
კანონებს და წესებს.

შენიშვნა I. შექნა ამხანაგობის მიერ
უძრავ ქონებისა საკუთრებათ ან ვალით,
მთლიანებით და სარგებლობა გარეშე იმ
გუბერნიების ნავთსადგურებისა და ქალაქები-
სა, რომელიც ჩამოთვლილი არიან 1899 წ.
გამოცემულ კანონთა კრებულის მე-IX ტო-
მის მე-830 მუხლის (შენიშვნა II) დამატე-

ბის პირველ მუხლში, დაიშვება იმ პირო-
ბით, თუ გამგეობის წევრთა და მათ კან-
დიდატთა უმეტესობა, როგორც საერთოდ,
ისე თვითონეულ საზომის ღრუსს, აგრედვე
ამხანაგობის უძრავ ქონების გამგენი და მო-
ურავნი რუსეთის ქვეშევრდომნი არიან.

შენიშვნა II. შექნა ამხანაგობის მიერ
ადგილომამულისა, რომელიც დასავლეთის
მხრის 9 გუბერნიების ქალაქ-დაბების გა-
რეშე იმყოფება, შეიძლება მხოლოდ ყოველ
ამგვარ შემთხვევისათვის ადგილობრივ გე-
ნერალ-გუბერნატორის ან გუბერნატორისა-
გან განსაკუთრებულ ნება-რთვის აღებით.

§ 3. ამხანაგობას აქვს ბეჭედი თა-
ვის სახელწოდების წარწერით.

§ 4. ამხანაგობა ყოველ წლივ წარუ-
ლებნს მიწათმოქმედების და მიწათმო-
წყობის მთავრ-სამართველოს სასოფ-
ლო-საეკონომიკო და სასოფლო-სამე-
ურნეო სტატისტიკას საზოვადო კრე-
ბის მიერ დამტკიცებულს, ანგარიშს
ამხანაგობის მოქმედების შესახებ. ამას
გარდა ამხანაგობამ თავის მოქმედების
ანგარიში უნდა წარუდგინოს იმ დაწე-
სებულებებს, რომელთა განაც იგი ქ-
ნებრივ დამარებას იღებს და აღილო-
ბრივ გუბერნატორს. ამხანაგობა მოვა-
ლეა თავისი ბალანსი მოათავსოს „ВѢСТ-
НИКЪ ФИНАНСОВЪ, ПРОМЫШЛЕННОСТИ И
ТОРГОВЛИ“-ში, როცა მისი საჭარბოთ
თანხა აღემატება 10,000 გ.

§ 5. ამხანაგობა მოქმედებას იწყებს მაშინ, როცა წევრად ჩაეწერება არა ნაკლებ თორმეტი კაცისა. ამხანაგობის მოქმედების დაწყების შესახებ განცხადება უნდა დაიბეჭდოს ადგილობრივ საგუბერნიო უწყებებში. ამხანაგობა, რომელიც მოქმედებას არ დაიწყებს ერთის წლის განმავლობაში დარღან მის წესდების დამტკიცებისა, გაუქმებულიად ჩაითვლება. ამხანაგობა მოვალეა ლიკვიდაცია უყოს თავის საქმეებს, თუ შემდეგში წევრთა რიცხვი იქნება 12-ზე ნაკლები.

§ 6. ამხანაგობის თავის წარმომადგენელის საშუალებით, შეუძლიან იქნეს წევრად სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ან უფრო დიდ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისა.

§ 7. ამხანაგობის წევრებად მიიღბიან კენჭის ყრით ორივ სქესის მემამულენი, მოიჯარიდორენი და მოურავები, რომელიც კი მისდევენ სასოფლო მეურნეობას. სოფლის საზოგადოებაში გუბ. გაზრ.

§ 8. ამხანაგობის წევრთა რიცხვში შეიძლება მიღებულ იქმნენ აგრედავე წვრილი სასოფლო-სამერჩნეო ამხანაგობანი მათი წარმომადგენელის საშუალებით.

§ 9. ამხანაგობის წევრობა არ შეუძლიანთ: 1) არა სრულ წლოვანთ (გარდა ასიმე ხარისხის მქონეთა), 2) სასწავლებლის მოწაფეთა, 3) სამსახურ. ში შეითქმის კაცებს და იუნკრებს და 4) იმ პირთ, რომელთაც სასამართლოს დადგენილება უფლებებით აქვთ შეზღუდული.

§ 10. ამხანაგობის თვითოვეულ წევრს ყოველ წლივ შეაქვს მანათი, რომლის ნაწილით არსდება

ამხანაგობის საწარმოო თანხა, დანარჩენი ფული კი ჰემარდება ამხანაგობის მიმღინარე საჭიროებას. შეტანილი ფული უკან არ დაუბრუნდებათ არც წევრთ და არც მათ მექვიდრეთ.

§ 11. წევრი, რომელიც საზოგადოების საერთო კრების მიერ დაწესებულ ვადიდან ერთი თვის განმავლობაში არ შეიტანს საწევრო გადასახალს, ითვლება ამხანაგობილან გამორიცხულად.

§ 12. წევრის კრებებზე მონაწილეობას იღებენ მხოლოდ პირადად და აქვთ მარტო თითო ხმა.

§ 13. საერთო კრების დადგენილებით ამხანაგობის, შეუძლიან თავის ხარჯების გარდა გადუწყვიტოს, განსაკუთრებული საკომისიო გადასახალი როგორც თავის წევრებს, აგრედავე გარეშე პირებსაც მის საშუალიდან სხვადასხვა საქონლის გაყიდვაში, თავის წევრების მიერ დავალებულ საგნების გამოწერაში და მათ მეურნეობის ნაწარმოების გასაღებაში.

§ 14. ამხანაგობის წევრთ საჭირო ნივთების ყიდვის დროს შეუძლიანთ ისარგებლონ ფულის წვრილ-წვრილი გადახდით საზოგადო კრების მიერ დადგენილ პირობების თანხმად.

§ 15. წლის დამლევს ხარჯს გადატენილი ფული ხმარდება იმ რაოდენობით, რომელსაც ყოველთვის ადგენს საკრთო კრება საწარმოვო თანხის დაარსებას. დანარჩენი ფული საერთო კრებას შეუძლიან დაუბრუნოს წევრებს იმისდამიხედვით, თუ ვის რამდენი გადახდა უკანასკნელი წლის განმავლობაში საკომისიო გადასახალი და ან გაუნაწილოს ამხანაგობის ყველა წევრთ, როგორც მოგება. აღნიშნული

ფული საერთო კრების მიერვე შეიძლება მოხმარდეს იდგილობრივ სასოფლო მეურნეობისათვის სასარგებლო საქმეს. საწარმოო და სათაღარიგო თანხების ანგარიში ცალკ-ცალკე სწარმოებს.

§ 16. ამხანაგობას შეუძლიან საზოგადო კრების დადგენილებით და ამავე კრების მიერ მოწონებულ პირობებით ფულის სესხება. სესხის და საზოგადოდ ყველა ვალდებულობაზე ამხანაგობა პასუხს აგებს მთელის თვის. მოძრავ და უძრავ ქონებით, და ამას გარდა, თუ ეს არ ეყო, თვითაეულ წევრს ამხანაგობისას გამოერთმევა ამ ვალის გარდასა-წყვეტად არა უჩერტეს იმისა, რასაც სამი წლის საწევრო გადასახადი შეადგენს. ამასთან ამხანაგობილან გასული წევრები პასუხს აგებენ იმ სესხებზე და ვალდებულებებზე, რომელიც ამხანაგობაში მათ წევრობის დროს იკისრა, ხოლო ახლად ჩარიცხული წევრები პასუხს აგებენ იმ ვალდებულობებზე, რომელთ გასტუმრების ვადა დადგა მას შემდეგ, რაც ეს წევრები ამხანაგობაში ჩაეწერნენ.

§ 17. ამხანაგობის საქმეებს განავებს გამგეობა. გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა რიცხვს, მათ სამსახურის ვადას და ერთმანეთში მუშაობის განაწილებას აწესებს და სცვლის საზოგადო კრება. საზოგადო კრებამვე უნდა გადასწყვეტოს, თუ რაზე უნდა მოაწეროს ხელი მთელმა გამგეობამ, ხოლო მთელი გამგეობის მიერ ხელის მოწერა საჭიროა, ამხანაგობის სახელით ყველა იღებულ ვალდებულობებზე და აგრედვე წლიურს ანგარიშზე.

§ 18. გამგეობის წევრთა რიცხვი არ უნდა იყოს სამხე ნაკლები. ამათგან

ერთი თავმჯდომარება, რომელსაც კრება ირჩევს ცალკე და რომელიც თავმჯდომარებს თვით ამხანაგობასაც და მის გამგეობასაც.

§ 19. კასის გამგებლობა და ანგარიშის წარმოება არ შეიძლება ერთ და იმავე პირს ჩატარდეს.

§ 20. ამხანაგობას უფლება აქვს, თუ მოისურვებს, აირჩიოს წევრთა საზოგადო კრების მიერ დადგენილ ვადით საპატიო თავმჯდომარე იმ პირთაგან, რომელთაც საზოგადოდ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა წევრობის უფლება აქვთ.

§ 21. ამხანაგობის გამგეობის გასახლებლად ყოველ წელიწადს გამგეობის წევრთა და კანდიდატთა რიცხვიდან გამოდის თითო კაცი. გამოსულ წევრის და მის კანდიდატის მაგიერ კრება ირჩევს ახალს ამხანაგობის წევრთა შორის. ამხანაგობის მოქმედების პირველ წლის დასასრულს, გამგეობის წევრნი და მათი კანდიდატნი კენჭს იყრიან იმის გადასაწყვეტად, თუ ვინ უნდა გამოვიდეს გამგეობის და კანდიდატთა წრიდან. შემდეგ წლებში კი გამგეობის წევრნი და მათი კანდიდატნი გამოდიან, როცა ვადა გაუვათ.

§ 22. წევრთა საზოგადო კრება შეიძლება იყოს: წლიური, საგანგებო და ჩვეულებრივი.

§ 23. წლიური საზოგადო კრება ხდება ყოველ წლივ თვეში. საზოგადო კრების საქმეს შეადგენს 1) არჩევა თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათ კანდიდატებისა. სარევიზიო კომისია მოვალეა შემდეგ წლიურ საზოგადო კრების წინ განიხილოს გამგეობის წლიური ანგარიში;

2) განზილვა ამხანაგობის წლიურ ან-
გარიშისა და სარეკვიზით კომისიის და-
სკვნა-შენიშვნისა; 3) დაწესება ამხა-
ნაგობის საქმეთა მართვა-გამგეობის წეს-
რიგისა და 4) გადაწყვეტა ცველა იმ
საკითხებისა, რაც ამ წესდებით საზო-
გადო კრების საგანს შეადგენს (§§ 7,
11, 13, 14, 15, 16, 17, 20 და 21),

§ 24. საგანგებო კრებები შეიძლება
მოწვევულ იქნეს გამგეობის მიერ, რო-
ცა ამას მოითხოვს ამხანაგობის წევრ-
თა არა ნაკლებ $\frac{1}{5}$ -ი დაუყოვნებელ
საქმისათვის ან ისეთ საქმეების განსა-
ხილველად, რომლების გადაწყვეტილ
23 წ.-ის თანახმად შეუძლიან საერთო
კრებას, ან იმ კითხვების განსახილვე-
ლად, რომლებიც გამგეობას არა აქვთ
მინდობილი არც წესდებით და არც ინ-
სტრუქციით.

§ 25. ჩვეულებრივი კრებები მოი-
წვევა მხოლოდ საზოგადო სასოფლო
სამეურნეო საკითხებზე სათათბიროდ.
ამ კრებაზე არ შეიძლება. განხილვა
ისეთ საკითხებისა, რომლებიც ამხანა-
გობის მართვა-გამგეობის საქმეებს ეხე-
ბა.

§ 26. საზოგადო კრებებს იწვევს
გამგეობა.

§ 27. წლიური და საგანგებო კრე-
ბები მხოლოდ მაშინ ითვლება კანო-
ნიერად, როცა თვითონეულ კრებას
დაესწრება ამხანაგობის წევრთა რიც-
ხვის ნახევარზე არა ნაკლები; ჩვეუ-
ლებრივი კი ითვლება კანონიერად
რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. თუ
წევრთა საჭირო რიცხვი არ გამოცხადდა
და წლიური ან საგანგებო კრება არ
შესლება, მაშინ ერთი კვირის შემდეგ
ინიშნება მეორე, რომელიც კანონიე-

რად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნ-
და დაესწროს.

§ 28. წლიურს საზოგადო კრებას
თავმჯდომარეობს საპატიო თავმჯდო-
მარე, ხოლო თუ იგი არ დაესწრო,
მაშინ საზოგადო კრება თავის წრიდან
ირჩევს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევა-
ში თავმჯდომარეობა არ შეუძლიანთ
არც გამგეობის და არც სარევიზით
კომისიის წევრთ. სხვა საზოგადო კრე-
ბებზე თავმჯდომარეობს ამხანაგობის
თავმჯდომარე.

§ 29. დადგენილებანი საზოგადო
კრებისა სწყდება უბრალო ხმის უმე-
ტესობით. თუ ხმები თანაეწორად გაი-
ყო, კითხვას გადასწყვეტს თამჯდომა-
რის ხმა. კითხვები შესახებ ამხანაგობის
დახურვისა, წესდების შეცვლისა, გამ-
გეობის წევრთა ვალის გასვლამდე თა-
ნამდებობიდან გადაყენებისა და წევრთა
გამორიცხვისა, აგრედავე სესხის აღე-
ბისა სწყდება დამსწრე წევრთა $\frac{2}{3}$ ხმის
უმეტესობით.

§ 30. საზოგადო კრების დღე და
განსახილველი საგნები წინდაწინვე უნ-
და ეცნობოს ადგილობრივ საბოლიციო
მთავრობას.

§ 31. საზოგადო კრებას შეუძლიან
იმ საკითხების განხილვა, რომელიც
შეეხებიან წესდებაში დასხულს ამხა-
ნაგობის მოქმედებას.

§ 32. თუ საზოგადო კრებამ დაად-
გინა ამხანაგობის დახურვა, გამგეობა
ამ დადგენილებას აცნობებს გუბერნა-
ტორს და სასოფლო-საეკონომიკო და
სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის
განყოფილებას და აცხადებს ადგილო-
ბრივ საგუბერნიო უწყებებშივე დაბე-
ჭდილ განცხადებით. გამგეობა იწვევს
ამხანაგობის კრედიტორებს და იმ წე-

სით, რომელიც მიღებულია კომერციულ საქმეებში, იწყებს ლიკვიდაციას. ლიკვიდაცია როცა გათავდება გამგეობა წარუდეგნს ანგარიშს საზოგადო კრებას ამ კრების მიერ დანიშნულს ვადაზე. ამხანაკობის კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ფული და ქონება ხმარდება იმ დანიშნულებას, რომელსაც, მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების მთავარგამგეობის მიერ დამტკიცებით, დაადგენს უკანასკნელი საზოგადო კრება.

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების დაარსების წეს-რიგი

I. დამტკიცება წვრილი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების წესდებისა, რომელიც არ განსხვავდება სანიმუშო წესდებისაგან, შეადგენს უფლებას გუბერნიის ან ოლქის უფროსისას, რომელსაც უნდა წარედგინოს სათანადო თხოვნები წესდების პროექტით. გუბერნიის და ოლქის უფროსებისაგან

დამტკიცებული წესდება გამოცხადდება ადგილობრივ საგუბერნიო უწყებებში; ამას გარდა ნება დართულ ამხანაგობების შესახებ ეცნობება მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების მთავარგამგეობების გამგეს.

II. წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა წესდებებს, რომელიც განსხვავდებიან სანიმუშო წესდებისაგან, ამტკიცებს მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების მთავარი გამგე სხვა უწყებებთან შეთანხმებით. თხოვნა ასეთ ამხანაგობების გახსნის შესახებ წესდების პროექტით უნდა წარედგინოს მიწათმოწყობის და მიწათმოქმედების მთავარგამგეობას (სასოფლო-საეკონომიკო და სასოფლო - სამეურნეო სტატისტიკის განყოფილებაში). საქმის დასაჩქარებლად თხოვნა შეიძლება გაიგზვნოს გუბერნატორის სახელობაზე დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

ა. კახელაძე

გდგომარე 1912 წელს საგვარეო შურიცალი

მოსავალი „შედეგი“ წელიწადი მეთოხე

გამოდის იმავე პროგრამით. მიიღება ხელის-მოწერა მარტო ტფილისში.

უკრნალი ღირს წლიურად 3 მანეთი, ცალკე ნომერი—15 კაპეიკი.

რედაქცია ეცდება წლის თავზე ძვირფასი პრემია მიაწოდოს ხელის-მოწერლებს. მსურველთ შეუძლიანო შეიძინონ წარსული წლების „მოსავალი“-ს ნომრები:

მთელი კომლექტი 1909 წლისა უყდო 1 მან. 50 კ., ყდაკაზმული 2 მ., „ 3.,

” ” 1910 ” ” 2 მან.— ” ” ყდაკაზმული 2 ” 50 ”

” ” 1911 ” ” 2 მან.—50 ” ყდაკაზმული 3 ” — ”

რედაქციის გამოცემანი: კანონი მევენახე-მელვინეთა კომიტეტების შესახებ 15 კ., იონჯა—5 კ., ბამბა—5 კ., კართოფილი—5 კაპ..

რედაქციაშივე იყიდება შემდეგი გამოცემანი:

არითმეტიკული კრებული—50 კ., ქიმია პროფ. როსკონი—30 კ., შვერცარიის ძირითადი კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან—25 კ.

რედაქ.-გამომცემილი ვ. ი. რცხილაძე